საინფორმაციო ბიულეტენი | ივნისი

21 ივნისს საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა

21 ივნისს საბჭოს სხდომა გაიმართა, რომლის ფარგლებში დაინიცირდა თემატური მოკვლევა "ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციის აღსრულების ეფექტიანობის შესახებ. სხდომაზე განხილული იქნა გენდერული სახელფასო სხვაობისა და საქართველოს თანაბარი ანაზღაურების კოალიციასთან (EPIC) შეერთების წინაპირობები.

ნინო წილოსანმა მონაწილეობა WPL 2021 წლის სამიტში მიიღო

ნინო წილოსანმა მონაწილეობა ქალი პოლიტიკოსების გლობალური ქსელის (WPL) 2021 წლის სამიტში მიიღო. მან ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერების მიმართულებით ქვეყნის მიერ წინ გადადგმული ნაბიჯები მიმოიხილა და გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს 2021 წლის ძირითადი აქტივობები წარადგინა.

შეხვედრები ქალთა პოლიტიკური გაძლიერების

1 ივნისს, საბჭოს ინიციირებით მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრი ქალები ერთმანეთს სადისკუსიო პანელის ფარგლებში შეხვდნენ, რომელიც ქალების პოლიტიკური მონაწილეობის მნიშვნელობას და მათი გამოცდილებები გაზიარებას დაეთმო.
9 ივნისს, ნინო წილოსანი ადგილობრივი თვითმმართველობების საკრებულოების წარმომადგენელ ქალებს შეხვდა და მათი საჭიროებები მოისმინა.

ორივე შეხვედრა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით განხორციელდა.

სოციალური კამპანია #საბჭოძალადობისწინააღმდეგ

ივნისის თვეში საბჭომ ახალი კამპანია #საბჭოძალადობისწინააღმდეგ წამოიწყო, რომელიც მიზნად ისახავს სექსუალური შევიწროებისა და ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლებას.
კამპანიის ფარგლებში, ამავე საკითხებზე საბჭოს ინიციირებით, **15 ივნისს** ფეისბუქ ჯგუფში "Georgian Moms" პირდაპირი ჩართვა განხორციელდა.

პარლამენტის მრჩეველთა ჯგუფის პირველი შეხვედრა

17 ივნისს, საპარლამენტო საქმიანობაში თანასწორობის, მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის მნიშნელობის მიმოხილვის მიზნით, პარლამენტის მრჩეველთა ჯგუფის პირველი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.
მრჩეველთა ჯგუფი რამდენიმე ქვეყნის ელჩს აერთიანებს. აღნიშნული ჯგუფი ნინო წილოსანისა და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მხარდაჭერით შეიქმნა.

საინფორმაციო ბიულეტენი | ივნისი

გამოფენა "ქალები თანასწორობისთვის"

24 ივნისს, პარლამენტის პლენარული დარბაზის დერეფანში გამოფენა "ქალები თანასწორობისთვის" გაიხსნა. გამოფენა მიზნად ისახავს პირველი რესპუბლიკის დეპუტატი ქალი წევრებისა და მე-19, მე-20 საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ქალების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულება

3 ივნისს, საბჭო შშმ პირთა უფლებებზე მომუშავე გაეროს ორგანიზაციების წარმომადგენლებს სამომავლო თანამშრომლობის განხილვის მიზნით შეხვდა.

8 ივნისს, თემატური მოკვლევის "ქალთა უფლებები არაფორმალურ ეკონომიკაში და კოვიდ 19-ის გავლენა" გახსნითი ღონისძიება გაიმართა.

29 ივნისს, გენდერული გავლენის შეფასების (GIA) სამუშაო ჯგუფის მეორე შეხვედრა გაიმართა.

29 ივნისს, თემატური მოკვლევის "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებისა და გოგონებისთვის ჯანდაცვის სერვისების მისაწვდომობის შესახებ" მონიტორინგის თაობაზე შეხვედრა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, საპარლამენტო კომიტეტების წარმომადგენლებმაც მიიღეს.

გასვლითი შეხვედრები

3 ივნისს, ნინო წილოსანმა ძალადობის მსხვერპლთა "დედათა და ბავშვთა თავშესაფარი/კრიზისული ცენტრი" მოინახულა, სადაც ადგილზე გაეცნო ინფორმაციას ბენეფიციარებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ.

3 ივნისს, ნინო წილოსანი ასევე ეწვია ახალციხის დემოკრატ ქალთა ორგანიზაციას და მათთან სამომავლო ურთიერთობების პერსპექტივები განიხილა.

ფოტო: ვიზიტი ძალადობის მსხვერპლთა "დედათა და ბავშვთა თავშესაფარ/კრიზისულ ცენტრში"